



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

„ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დასკვნის წარმოდგენის თარიღი 29.09.2022



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი -----გიორგი-----

გვარი ----დალაქიშვილი-----



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ფიზიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების II საფეხური, მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	მე-7 დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	ფიზიკა - 0533
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი ⁵	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, ბათუმი, 6010, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 3 სექტემბრის №856870 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 20 აგვისტო

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 20 აგვისტო
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01.07.2027

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			



შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმული-რება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
3. რეკომენდებულია დაზუსტდეს უცხო ენის წინაპირობა და მაგისტრატურაში მისაღებ ინგლისურ ენაში განისაზღვროს B2 დონე.
4. რეკომენდებულია პროგრამის დამლევის მიზნით მათემატიკის რელევანტური კომპეტენციების წინაპირობად განსაზღვრა ან პროგრამაში შესაბამისი კომპონენტის გათვალისწინება.
5. რეკომენდებულია პროგრამის წინაპირობად განსაზღვრული ლიტერატურის განახლება.
6. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა.
7. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ფიზიკური ამოცანების მოდელირება და სიმულაციები, 2. ტალღური პროცესების თეორია, 3. მაგნიტური მოვლენების ფიზიკა, 4. პლაზმის ელექტროდინამიკა, 5. ელექტრული რხევები, 6. სტატისტიკური რადიოფიზიკა, 7. ტალღსატარები, 8. დისპერსულ გარემოთა მაგნიტოოპტიკა, 9. სიგნალების დამუშავება, 10. რადიო და ოპტიკური სისტემები, 11. ტალღური პროცესების გამოკვლევა ტროპოსფეროს სიმაღლეებზე, 12. სამედიცინო ვიზუალიზაციის ფიზიკური, 13. ატმოსფეროს რადიოფიზიკა - სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების გაზომვადი კრიტერიუმებითა და დეტალური რუბრიკით.
8. რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტისა და 1-ლი მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი 5 კრიტერიუმები და დეტალური რუბრიკა, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.
9. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 3 სექტემბრის №855770 სხდომის ოქმის № 2 ნაწილი გადაწყვეტილებით სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების



უნივერსიტეტის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, „ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენის პირობით.

სამუშაო ჯგუფის და პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, დაკორექტირდა ზოგიერთი სილაბუსი. ასევე, მომზადებული და შეგროვებული იქნა ყველა საჭირო დანართი. აღნიშნული ცვლილებები განხილული იქნა ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე რომლის საფუძველზეც ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ 2022 წლის 16 აგვისტოს მიიღო №06-01/76. დადგენილება „ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის „ფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

რჩევ(ებ)ი⁸

1. სასურველია, მიღების წინაპირობებში ჩაემატოს ტექნიკური ინგლისურის ცოდნა. შემოწმება შეიძლება მოხდეს შესაბამისი მიმართულების სტატიის ნაწილის თარგმნით, გასაუბრების რეჟიმში.
2. სასურველია, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ჰქონდეს შეცვალოს ფინალური და შუალედური გამოცდის ქულების რაოდენობა.
3. სასურველია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარონ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში



რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I ¹⁴	რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
აღწერა	აკრედიტაციის საბჭოს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა მიზნად დაისახა ხელმეორედ გამოკვლია შრომის ბაზარი. განხორციელდა დამსაქმებელთა, პოტენციურ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. მოხდა გამოკითხვის შედეგების გაანალიზება, რის საფუძველზეც განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება. სასურველი იყო, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღწერილი ყოფილიყო, რამდენად/რატომ შეესაბამება განხორციელებული ცვლილებები თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
რჩევა ¹⁵	
აღწერა	
მტკიცებულებ(ებ)ა	1. დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №06-01/76. (2 გვერდი) დანართი 2. საგანმანათლებლო პროგრამა; დანართი 7. შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია II ¹⁶	რეკომენდებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
აღწერა	განახლებული იქნა პროგრამის მიზნების რუკა, სწავლის შედეგების მიღწევის დონე სასწავლო კურსების მიხედვით, სწავლის შედეგების განაწილების რუკა სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით. გადამუშავდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შეფასების მეთოდებს, სამიზნე ნიშნულებს, მონაცემთა შეგროვების მეთოდებს და ანალიზს შედეგების განზოგადოებისა და გაუმჯობესების მიზნით.
რჩევა ¹⁷ II	
აღწერა	
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №06-01/76. დანართი 2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა“; დანართი 6. ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; დანართი 3. სასწავლო კურსების სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია III ¹⁸	რეკომენდირებულია დაზუსტდეს უცხო ენის წინაპირობა და მაგისტრატურაში მისაღებ ინგლისურ ენაში განისაზღვროს B2 დონე;
აღწერა	რეკომენდაციის გათვალისწინებით კორექტირებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში მიღების წინაპირობა. კერძოდ, შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში B1 დონის ნაცვლად განისაზღვრა B2 დონით.

¹⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა ¹⁹ II	
აღწერა	
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 2. საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია IV ²⁰	რეკომენდებულია პროგრამის დაძლევის მიზნით მათემატიკის რელევანტური კომპეტენციების წინაპირობად განსაზღვრა, ან პროგრამაში შესაბამისი კომპონენტის გათვალისწინება.
აღწერა	რეფორმულირებული იქნა პროგრამაზე მისაღები საგან-მოცდო საკითხები და გათვალისწინებული იქნა მათში მათემატიკის რელევანტური კომპეტენციების განმსაზღვრელი საკითხები. კერძოდ, დაემატა თემატიკა ვექტორული და ტენზორული აღრიცხვის ელემენტების შესახებ. თუმცა საკითხებში მიტითებულია ელექტრული და ტენზორული აღრიცხვა. ეს, სავარაუდოდ ტექნიკური, ხარვეზი გასასწორებელია.
რჩევა ²¹ II	
აღწერა	
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა“; დანართი 4. პროგრამაზე მისაღები საკითხები და ლიტერატურა.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია V ²²	რეკომენდებულია პროგრამის წინაპირობად განსაზღვრული ლიტერატურის განახლება.
აღწერა	რეფორმულირებული იქნა პროგრამაზე მისაღები საგან-მოცდო საკითხები და განახლდა ლიტერატურა.

¹⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁰საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²²საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა ²³ II	
აღწერა	
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა“; დანართი 4. პროგრამაზე მისაღები საკითხები და ლიტერატურა.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VI ²⁴	რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა.
აღწერა	ვინაიდან საანგარიშო პერიოდში სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არ მომხდარა, მოცემული რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, ამ საანგარიშო პერიოდში, წარმოდგენილი არ არის.
რჩევა ²⁵ II	
აღწერა	
მტკიცებულებ(ებ)ა	

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტთა შეფასება
რეკომენდაცია VII ²⁶	რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ფიზიკური ამოცანების მოდელირება და სი-

²³საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>მულაციები, 2. ტალღური პროცესების თეორია, 3. მაგნიტური მოვლენების ფიზიკა, 4. პლაზმის ელექტროდინამიკა, 5. ელექტრული რხევები, 6. სტატისტიკური რადიოფიზიკა, 7. ტალღსატარები, 8. დისპერსულ გარემოთა მაგნიტოოპტიკა, 9. სიგნალების დამუშავება, 10. რადიო და ოპტიკური სისტემები, 11. ტალღური პროცესების გამოკვლევა ტროპოსფეროს სიმაღლეებზე, 12. სამედიცინო ვიზუალიზაციის ფიზიკური, 13. ატმოსფეროს რადიოფიზიკა - სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების გაზომვადი კრიტერიუმებითა და დეტალური რუბრიკით.</p>
<p>აღწერა</p>	<p>რეკომენდაციის გათვალისწინებით დაკონკრეტდა შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების გაზომვადი კრიტერიუმები. თითოეულ სილაბუსს დანართი 2-ის სახით დაემატა კრიტერიუმები და შეფასების დეტალური რუბრიკა. ცვლილებები განხორციელდა შემდეგ სილაბუსებში:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფიზიკური ამოცანების მოდელირება და სიმულაციები; • ტალღური პროცესების თეორია; • მაგნიტური მოვლენების ფიზიკა; • პლაზმის ელექტროდინამიკა; • ელექტრული რხევები; • სტატისტიკური რადიოფიზიკა; • ტალღსატარები; • დისპერსულ გარემოთა მაგნიტოოპტიკა; • სიგნალების დამუშავება; • რადიო და ოპტიკური სისტემები; • ტალღური პროცესების გამოკვლევა ტროპოსფეროს სიმაღლეებზე; • სამედიცინო ვიზუალიზაციის ფიზიკური საფუძვლები; • ატმოსფეროს რადიოფიზიკა.
<p>რჩევა²⁷II</p>	
<p>აღწერა</p>	
<p>მტკიცებულებ(ებ)ა</p>	<p>დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №06-01/76. დანართი 3. სილაბუსები</p>

²⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია VIII ²⁸	რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტისა და 1-ლი მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, უსდ-მ განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გაზომვადი 5 კრიტერიუმი და დეტალური რუბრიკა, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.
აღწერა	
რჩევა ²⁹ II	
აღწერა	<p>აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები და შეიცვალა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეთოდები და განისაზღვრა რაოდენობრივი კრიტერიუმები.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის სხვა ნაშრომთან მაღალი ხარისხით მსგავსების (30%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 70%-ისა) შემთხვევაში, ხელმძღვანელი Moodle-ის პლატფორმაზე უთითებს შესაბამის კომენტარებს. სტუდენტი ვალდებულია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი განმეორებით ატვირთოს არა უგვიანეს მე-14 კვირისა, პირველადი წარდგენის შემთხვევაში ნაშრომში 70%-ზე მეტი მსგავსების ან განმეორებით წარდგენის შემთხვევაში 30%-ზე მეტი მსგავსების აღმოჩენის შემთხვევაში, ნაშრომი ფასდება (F) ჩაიჭრა შეფასებით. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - საჯარო დაცვაზე დასკვნითი შეფასებით, 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს რეცენზენტის შეფასებას - მაქსიმუმ 40 ქულას და საჯარო დაცვაზე მიღებულ შეფასებას - მაქსიმუმ 60 ქულას.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს დადებითი შეფასება (51-100 ქულის ფარგლებში) შემდეგი 5 სახის შეფასებიდან:</p> <p>ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; გ) (C) კარგი –71-80 ქულა;</p>

²⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა. სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს უარყოფითი შეფასება (0-50 ქულის ფარგლებში) შემდეგი 2 სახის შეფასებიდან:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა (41-50 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;</p> <p>ბ) (F) ჩაიჭრა (0-40 ქულა), ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.</p> <p>ამავე დადგენილებით განისაზღვრა სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესები, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები და სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასების ფორმა და კრიტერიუმები.</p> <p>აღწერილი ცვლილებების შესაბამისად, პროგრამის გუნდმა განაახლა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი</p>
მტკიცებულებ(ებ)ა	<p>დანართი 5. დადგენილება 06-01/39 (03.06.2022) სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი</p>

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია IX ³⁰	რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
აღწერა	<p>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (პროგრამის გუნდი) სამუშაო შეხვედრების ფორმატში შეიმუშავებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას, ცალკეული შედეგისთვის განსაზღვრავს სამიზნე ნიშნულს, შეფასების მეთოდსა და შეფასების განხორციელების (ანალიზის) ვადებს. პროგრამის გუნდის მიერ შემუშავდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ამა თუ იმ სწავლის შედეგის შეფასების მაჩვენებლების შეგროვებას/ანალიზს და დადარებას წინასწარ დადგენილ სამიზნე ნიშნულთან, სასწავლო წლის ბოლოს [3].</p>

³⁰საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	<p>სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად ფაკულტეტის ადმინისტრაციის, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება ლექცია/ჯგუფში მუშაობის პროცესზე დაკვირვება/ანალიზი. დაკვირვების პროცესის დაგეგმვის და განმახორციელებელი პერსონალის წინასწარ ინფორმირებულობის მიზნით ბსუ-ს ელექტრონულ სერვისებს დაემატა „აკადემიური დასწრების“ ველი, სადაც ინტეგრირებულია დაკვირვების კრიტერიუმები და უკუკავშირის ფუნქცია. (https://portal.bsu.edu.ge/).</p> <p>განხორციელებული შეფასების შედეგების გაანალიზება ხდება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად, დგინდება პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხდება პროგრამის გასაუმჯობესებლად კონკრეტული აქტივობების (ცვლილება პროგრამაში, სილაბუსში, ლიტერატურის განახლება, სწავლებისა და შეფასების მეთოდების გადახედვა, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება) დაგეგმვა.</p>
რჩევა ³¹ II	
აღწერა	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ol style="list-style-type: none"> 1. დანართი 8. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N10 გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ; 2. დანართი 9. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“; 3. დანართი 6. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; 4. დანართი 10. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 06 აგვისტოს №07-01/41 გადაწყვეტილება „ბსუს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“; 5. დანართი 7. ბაზრის კვლევის ანალიზი.

³¹საკანონმდებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



თანდართული დოკუმენტაცია³²

დანართი 1. ბსუ-ს აკადემიური 2022 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №06-01/76. (2 გვერდი)

დანართი 2.. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ფიზიკა“ (17 გვერდი)

დანართი 3. სილაბუსები

სილაბუსი - „ელექტრული რხევები“ (7 გვერდი)

სილაბუსი - „ფიზიკური ამოცანების მოდელირება და სიმულაცია“ (8 გვერდი)

სილაბუსი - „ტალღური პროცესების თეორია“ (6 გვერდი)

სილაბუსი - „მაგნიტური მოვლენების ფიზიკა“ (7 გვერდი)

სილაბუსი - „პლაზმის ელექტროდინამიკა“ (6 გვერდი)

სილაბუსი - „სიგნალების დამუშავება“ (7 გვერდი)

სილაბუსი - „დისპერსიულ გარემოთა მაგნიტოოპტიკა“. (9 გვერდი)

სილაბუსი - „ტალღსატარები“ (7 გვერდი)

სილაბუსი - „სტატისტიკური რადიოფიზიკა“ (8 გვერდი)

სილაბუსი - „ტალღური პროცესების გამოკვლევა ტროპოსფეროს სიმაღლეებზე“ (6 გვერდი)

სილაბუსი - „ატმოსფეროს რადიოფიზიკა“ (7 გვერდი)

სილაბუსი - „სამედიცინო ვიზუალიზაციის ფიზიკური საფუძვლები“ (9 გვერდი)

სილაბუსი - „ელექტრული წრედების სიმულაციები“ (8 გვერდი)

სილაბუსი - „რადიო და ოპტიკური სისტემები“ (8 გვერდი)

დანართი 4. პროგრამაზე მისაღები საკითხები და ლიტერატურა

დანართი 5. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

დანართი 6. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

დანართი 7. შრომის ბაზრის კვლევა

დანართი 8. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N10 გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების“ დამტკიცების შესახებ;

დანართი 9. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;

დანართი 10. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 06 აგვისტოს №07-01/41 გადაწყვეტილება „ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

³² თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



ექსპერტის ხელმოწერა

გიორგი დალაქიშვილი

გ. დალაქიშვილი